## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

## დადგენილება №49

## 2010 წლის 7 დეკემბერი

## ქ. ბათუმი

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – სპორტის დეპარტამენტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 12.06.2019წ.*

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 04.01.2019წ.*

1. შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტის დეპარტამენტი.
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 12.06.2019წ.*

2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტის დეპარტამენტის დებულება.
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 12.06.2019წ.*

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების - სპორტის დეპარტამენტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 15 (თხუთმეტი) საშტატო ერთეულით.
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 25 ოქტომბრის დადგენილება №44 - ვებგვერდი, 03.11.2011წ.*
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 24 ივლისის დადგენილება №25 - ვებგვერდი, 31.07.2012წ.*
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 11 ივნისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 20.06.2013წ.*
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 2 თებერვლის დადგენილება №5 - ვებგვერდი, 09.02.2016წ.*
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 30 ივნისის დადგენილება №22 - ვებგვერდი, 30.06.2017წ.*
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 12.06.2019წ.*

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. ბოლქვაძე) უზრუნველყოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2011 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტის დეპარტამენტის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების გათვალისწინება, შემდგომში მისი მიზნობრივი დაფინანსება და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ქონების სარგებლობაში გადაცემა.
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 12.06.2019წ.*

5. დადგენილება, გარდა მე-4 პუნქტისა, ამოქმედდეს 2011 წლის 1 იანვრიდან.
6. დადგენილების მე-4 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**მთავრობის თავმჯდომარე ლ. ვარშალომიძე**

**დანართი**

*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 11 ივნისის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 12.06.2019წ.*

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების – სპორტის დეპარტამენტის
## დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) არის „აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად შექმნილი საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სისტემაში და ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და სამინისტროს კომპეტენციებს სპორტის სფეროში.
2. დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.
3. კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (შემდგომში – მთავრობა) წინაშე.
4. დეპარტამენტი კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ, აგრეთვე მესამე პირებთან ურთიერთობაში.
5. დეპარტამენტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთა ნუსხა, საბანკო და სახაზინო ანგარიშები, ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, ბლანკი და სხვა რეკვიზიტები.
6. დეპარტამენტის დაფინანსების წყაროა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი.
7. დეპარტამენტის ადგილსამყოფელია ქ. ბათუმი, ლადო გუდიაშვილის ქუჩა №4.

**მუხლი 2. დეპარტამენტის მიზნები და ამოცანები**

დეპარტამენტის მიზნები და ამოცანებია:
ა) სპორტის სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ ერთიანი პოლიტიკის შემუშავების, დაგეგმვისა და მისი რეალიზების კოორდინაცია;
ბ) მთავრობის მიერ სპორტის სფეროში დამტკიცებული პროგრამების განხორციელება;
გ) სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, სასპორტო დაწესებულებების, სპორტული ორგანიზაციების სპორტული ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფის ხელშეწყობა;
დ) სპორტის სფეროში არასახელმწიფო სექტორის როლის ზრდის ხელშეწყობა;
ე) სამინისტროსათვის წინადადებების წარდგენა სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თაობაზე;
ვ) სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის გაუმჯობესების თაობაზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და სამინისტროსათვის წარდგენა;
ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი სასპორტო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია, სამინისტროს მიერ დაფუძნებული სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (სპორტული სკოლები) მეთოდური დახმარების გაწევა, სპორტული სკოლების სასწავლო პროცესზე ზედამხედველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
თ) სპორტის სფეროში ღონისძიებათა ერთიანი კალენდარული გეგმის შემუშავება;
ი) დეპარტამენტის მიერ აჭარის სპორტული ფედერაციებისათვის (კავშირებისათვის) გამოყოფილი თანხების ხარჯვის კონტროლი;
კ) სპორტის სფეროს დაფინანსებისათვის სათანადო პროექტების შემუშავება, სპორტის სფეროში მოქმედ საერთაშორისო საფინანსო და სხვა დაწესებულებებთან თანამშრომლობა; თავისი მმართველობის სფეროში ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო ღონისძიებებისა და პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;
ლ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სპორტულ სფეროში ღონისძიებების დაფინანსების ნორმების პროექტის შემუშავება და სამინისტროსათვის წარდგენა;
მ) სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭების თაობაზე წინადადებების შემუშავება და სამინისტროსათვის წარდგენა;
ნ) სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპორტის სხვა მუშაკთა მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის ჯილდოების დაწესების თაობაზე წინადადებების სამინისტროსათვის წარდგენა;
ო) ასაკოვანი ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის სხვა მუშაკების ღვაწლის დაფასების მიზნით მათ მიმართ სხვადასხვა სახის მატერიალური წახალისების ფორმების გამოყენება;
პ) სპორტის სფეროსთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება და გაანალიზება. სპორტის პროპაგანდა;
ჟ) სპორტის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;
რ) კანონით დადგენილი წესით სპორტის სფეროსათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტით

გამოყოფილი სახსრების განკარგვა;
ს) სპორტის სფეროში მთავრობისა და სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება;
ტ) სპორტული ტურიზმის ხელშეწყობა/განვითარება;
უ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**მუხლი 3. დეპარტამენტის უფლებამოსილებანი**
დეპარტამენტი თავისი საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისას უფლებამოსილია:
ა) ისარგებლოს საბიუჯეტო სახსრებით;
ბ) კოორდინაცია გაუწიოს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის სფეროს განვითარების პროგრამების განხორციელებას;
გ) შექმნას პირობები სპორტის სფეროში სახელმწიფო დაწესებულებებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საზღვარგარეთის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და იურიდიულ პირებთან ფართო თანამშრომლობისათვის;
დ) ითანამშრომლოს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებთან – რესურსცენტრებთან;
ე) განახორციელოს ამ დებულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

**მუხლი 4. დეპარტამენტის სტრუქტურა**
დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:
ა) მაღალი მიღწევების სპორტის განყოფილება;
ბ) მასობრივი სპორტისა და მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის განყოფილება;
გ) ადმინისტრაციული, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილება.
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.*

**მუხლი 5. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი**
1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს სპორტის დეპარტამენტის უფროსი (შემდგომში – დეპარტამენტის უფროსი), რომელიც საქართველოს კონსტიტუციით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს დეპარტამენტის მართვასა და საქმიანობის კოორდინაციას.
2. დეპარტამენტის უფროსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) წარდგინებით, არაუმეტეს მინისტრის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით.
3. დეპარტამენტის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს დეპარტამენტს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს დეპარტამენტის გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;
ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, მთავრობის დადგენილებების და განკარგულებების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის აქტების შესრულებისათვის;
გ) ზედამხედველობს და თვალყურს ადევნებს დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;
დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დეპარტამენტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს და აფორმებს შრომით ხელშეკრულებებს.
ე) დადგენილი წესით სამინისტროს განსახილველად წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს;
ვ) დადგენილი წესით წყვეტს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა მატერიალური წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს;
ზ) სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, მასში ცვლილებების განხორციელების შესახებ; იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია

ბიუჯეტის ზუსტად შესრულებისათვის;
თ) უზრუნველყოფს დეპარტამენტის სტრატეგიული გეგმების რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის, დეპარტამენტის წლიური და კვარტალური სტატისტიკური ანგარიშებისა და ნაერთი ბალანსის შედგენის ორგანიზებას;
ი) უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წარმართვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
კ) დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, შენობა-ნაგებობისა და ქონების მოვლა-პატრონობისათვის უზრუნველყოფს შესაბამისი პირობების შექმნას;
ლ) კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას და პასუხისმგებელია ბრძანებათა კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის;
მ) სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;
ნ) სამინისტროს ყოველკვარტალურად წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ;
ო) ასრულებს მისთვის საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

**მუხლი 6. დეპარტამენტის უფროსის მოადგილე**
1. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს ერთი მოადგილე.
2. დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის წარდგინებით არაუმეტეს დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილების ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მინისტრის წარდგინებით ან საკუთარი ინიციატივით.
3. დეპარტამენტის უფროსის მოადგილის უფლებამოსილება განისაზღვრება დეპარტამენტის უფროსის ბრძანებით.
4. დეპარტამენტის უფროსის არყოფნისას, ან მის მიერ უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას, დეპარტამენტის უფროსის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხოლო მოადგილის არყოფნისას, ან მის მიერ უფროსის მოვალეობის შესრულების შეუძლებლობისას _ დეპარტამენტის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სხვა თანამშრომელი.

**მუხლი 7. დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია**
1. მაღალი მიღწევების სპორტის განყოფილების ფუნქციებია:
ა) სპორტის სფეროში ღონისძიებათა ერთიანი კალენდარული გეგმის პროექტის შემუშავება;
ბ) სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა;
გ) სპორტის სფეროში დაგეგმილი ღონისძიებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან კოორდინირებულად ჩატარება;
დ) მაღალი მიღწევების სპორტსმენთა ღონისძიებებზე მონაწილეობისათვის ხელშეწყობა;
ე) სპორტულ ფედერაციებთან, კავშირებთან, სპორტულ საზოგადოებებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობა, მათი საქმიანობის კოორდინაცია და ხელშეწყობა;
ვ) სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭების თაობაზე წინადადებების შემუშავება;
ზ) სპორტსმენების, მწვრთნელებისა და სპორტის სხვა მუშაკთა მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისათვის ჯილდოების დაწესების თაობაზე წინადადებების შემუშავება;
თ) ასაკოვანი ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის სხვა მუშაკების ღვაწლის დაფასების მიზნით მათ მიმართ სხვადასხვა სახის მატერიალური წახალისების ფორმების გამოყენების თაობაზე წინადადებების შემუშავება;
ი) სპორტის სფეროს წარმომადგენლების განახლებადი ელექტრონული ბაზის შექმნა;
კ) სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულებების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის თაობაზე წინადადებების მომზადება;
ლ) ოლიმპიური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა;
მ) სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა;
ნ) სპორტის სფეროში დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება;
ო) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
2. მასობრივი სპორტისა და მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის განყოფილების ფუნქციებია:
ა) სპორტის მომსახურებაზე საზოგადოების, მათ შორის, ბავშვებისა და ახალგაზრდების, ასევე

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მასობრივი სპორტის მაქსიმალური ხელშეწყობა;
ბ) მასობრივი სპორტის, ასევე მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის მიმართულებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება;
გ) მასობრივი სპორტის მიმზიდველი სპორტის სახეობების განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
დ)კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი სასპორტო დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია, სამინისტროს მიერ დაფუძნებული სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (სპორტული სკოლები) მეთოდური დახმარების გაწევა, სპორტული სკოლების სასწავლო პროცესზე ზედამხედველობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ე) სპორტის სფეროში დაგეგმილი ღონისძიებების სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან კოორდინირებულად ჩატარება;
ვ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
ზ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, სპორტული ცხოვრების სტილის პრესტიჟული იმიჯის შექმნა;
თ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
3. ადმინისტრაციული, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების ფუნქციებია:
ა) დეპარტამენტის საქმისწარმოების ორგანიზება და საარქივო დოკუმენტაციის წარმოება, შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვა, დამუშავება და კონტროლი;
ბ) დეპარტამენტში საკადრო საქმის ორგანიზება;
გ) დეპარტამენტის თანამშრომელთა პირადი საქმეების შედგენა და წარმოება;
დ) დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლა-პატრონობა;
ე) დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
ზ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ორგანიზება, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავება და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში დამტკიცებული ანგარიშის ფორმების დროული წარდგენა;
თ) დეპარტამენტის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება;
ი) დეპარტამენტში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება;
კ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, არასამთავრობო და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ორგანიზება, პრეს-კონფერენციების მოწყობა და სხვა;
ლ) საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და დეპარტამენტის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება №2 - ვებგვერდი, 01.06.2022წ.*

**მუხლი 8. დეპარტამენტის ქონება**
დეპარტამენტს დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, აქვს ქონება, რომელიც მას დროებით სარგებლობაში, უსასყიდლოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისაგან.

**მუხლი 9. დეპარტამენტის რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია**
დეპარტამენტის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 10. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**
დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.